სსიპ - კოლეჯი
„გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

2021 წლის ანგარიში

თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ (შემდგომში - კოლეჯი) დაფუძნდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №121\ნ ბრძანების საფუძველზე. კოლეჯი წარმოადგენს 2012 წელს დაფუძნებული სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის” უფლებამონაცვლეს.

კოლეჯის მიზანია სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ტრენინგ-კურსების/მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელება, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება, პროფესიული განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და პროფესიული სტუდენტის საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების განხორციელება, მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. კოლეჯში შემუშავებული სასწავლო პროგრამები მორგებულია თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს და თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს.

კოლეჯში შემუშავებული პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულებები გაფორმებულია მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. ისინი მუდმივად გადამზადდებიან სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა სწავლების შესაბამისი მეთოდებისა და ინსტრუმენტების ადაპტირების კუთხით.

კოლეჯი აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი უახლესი ტექნიკით. სასწავლო ინფრასტრუქტურა ყველანაირ საშუალებას იძლევა, რათა პროფესიულმა სტუდენტებმა/მსმენელმა ხარისხიანი სწავლება გაიარონ.

პროგრამებიდან გამომდინარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევებისა და სხვა სფეროების კომპანიებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები პროგრამებისა და მოდულების ადაპტირების, განხორციელების, სწავლების მიმდინარეობის პროცესში.

მაქსიმალურად ვთანამშრომლობთ კერძო ბიზნესთან, იმისთვის, რომ შრომის ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულები, მათ შორის, შშმ/სსსმ-სტუდენტები იყვნენ წარმატებულნი.

კოლეჯს 2019 წლიდან 6 წლის ვადით მინიჭებული აქვს ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. კოლეჯის ძირითადი საგანმანათლებლო მიმართულებებია - ინჟინერია, ხელოვნება, ბიზნესის ადმინისტრირება და სხვა. ამ დროისათვის, კოლეჯი უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე
შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა

№	*პროგრამის დასახელება*	*კრედიტების რაოდენობა საფეხურის მიხედვით*					
		I	II	III	IV	V	შენიშვნა
1.	ბუღალტრული აღრიცხვა	–	–	–	–	99	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5,5 თვე, 30 კრედიტი)
2.	ვებ პროგრამისტი	–	–	–	–	115	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5 თვე, 30 კრედიტი)
3.	ინფორმაციის ტექნოლოგია	–	–	60	–	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი)
4.	საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი	–	–	75	–	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი)

5.	საოფისე საქმე	–	–	–	**59**	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5,5 თვე, 30 კრედიტი)
6.	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	–	–	–	**90**	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5,5 თვე, 30 კრედიტი) (მ.შ. ინტეგრირებული მიდგომით)
7.	საფინანსო სერვისები	–	–	**51**	–	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი)
8.	სამკერვალო წარმოება	–	–	**99**	**-**	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი)
9.	აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება	–	–	–	**90/143**	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5,5 თვე, 30 კრედიტი) (მ.შ. ინტეგრირებული მიდგომით)
10.	გრაფიკული დიზაინის შესრულება	–	–	–	**90/143**	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5,5 თვე, 30 კრედიტი) (მ.შ. ინტეგრირებული მიდგომით)
11.	ინდუსტრიული დიზაინის შესრულება	–	–	–	**83**	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5,5 თვე, 30 კრედიტი)
12.	ვებტექნოლოგიები	–	–	–	**63/114**	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5,5 თვე, 30 კრედიტი) (მ.შ. ინტეგრირებული მიდგომით)
13.	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება	–	–	58	–	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი)
14.	მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება	–	–	57	–	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი)
15.	მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება	–	–	81	–	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი)

<u>პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტი</u>

ამ ეტაპისთვის, კოლეჯის სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტი განსაზღვრულია **592** პროფესიული სტუდენტით, რაც სრულად კომპლექტდება ახალი მიღებებისათვის. სამომავლოდ, დაგეგმილია გაიზარდოს მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა არანაკლებ **950**-მდე, ახალი პროგრამების დამატებისა და სასწავლო სახელოსნოების ამოქმედების გზით. კოლეჯში ფუნქციონირებს სასწავლო დანიშნულების 25 აუდიტორია/ლაბორატორია.

მომავალი წლისათვის იგეგმება სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობის გაზრდა ახალი პროგრამების დანერგვისა და სიმძლავრეების გაზრდის/ოპტიმიზაციის გზით, დამატებითი აღჭურვა სამომავლოდ გახდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა ახალი პროგრამების ავტორიზაციის მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცესში.

<u>ახალი სასწავლო პროგრამების საჭიროება და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება</u>

2020-2021 წლებში, მიუხედავად პანდემიისა და დისტანციური სამუშაო რეჟიმისა, „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისის" ჩარჩო დოკუმენტის ფარგლებში კოლეჯმა შეიმუშავა „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთების“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთებისა“ და „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა განხორციელების უფლება მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებით 2020-2021 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით, აღნიშნული პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული სახელოსნოს მშენებლობა წარმატებით დასრულდა და

სრულად აღიჭურვა მაღალტექნოლოგიური ამწეებითა და ინსტრუმენტ-დანადგარებით. აღნიშნულ პროგრამებზე რეგისტრაციის პროცესი განხორციელდა 2021 წლის აგვისტოდან. ამ პროგრამების დამატებამ (შემავალი 3 კონცენტრაცით) 2021 წლის მიღებისთვის კონტინგენტი გაზარდა 120-ით (თითოეულ სპეციალობაზე 40 სტუდენტი 2 ცვლაში).

ასევე, 2021 წელს დაგეგმილი იყო მოდიფიცირების პროცესში არსებული პროგრამის, „მძიმე სამშენებლო მანქანების ოპერატორი“ დამატება, თუმცა ამ პროცესმა 2022 წლისთვის გადაინაცვლა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სამკერვალო წარმოება“ სწავლის მსურველთა მზარდი რაოდენობიდან გამომდინარე, იგეგმება ამ პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გაზრდას. კოლეჯმა პროგრამის სათანადო აღჭურვილობის შეძენის მიზნით, უკვე თანამშრომლობს სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან.

კოლეჯში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით, შერჩევითი მეთოდით, მოდულური პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის მიერ პერიოდულად ხორციელდება თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება, სამწუხაროდ, საქართველოში ახალი კორონავირუსის პირველივე შემთხვევის დაფიქსირების გამო, საგრძნობლად იკლო პროფესიული სტუდენტების მეცადინეობებზე დასწრების რაოდენობამ. კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, პროფესიულ სტუდენტისთვის ვირუსის დადასტურების შემთხვევაში, ჯგუფის დანარჩენ წევრები რამდენიმე დღით ინაცვლებენ იზოლაციაში, იტარებენ ტესტირებას, ხოლო ვირუსის სხვა სტუდენტებთან დადასტურების შემთხვევაში, იზოლაცია გრძელდება და სწავლა დროებით წყდება ჯგუფში. 2021 წლის სექტემბერ-დეკემბერის პერიოდშიც კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ჰიბრიდულ რეჟიმში, ანუ როგორც პირისპირ, ასევე დისტანციურად,

<u>სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემის განვითარება</u>

სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფარგლებში, კოლეჯში შექმნილია მოდულური პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი. მონიტორინგის ჯგუფი შერჩევის პრინციპით ახორციელებს მონიტორინგს კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტულ ჯგუფში, ესწრება მეცადინეობისა და შედეგების დადასტურების პროცესს როგორც პირისპირ, ისე დისტანციური სწავლების რეჟიმში. დასწრების შედეგად გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ მონიტორინგის ჯგუფის წევრები და პროფესიული განათლების ის მასწავლებლები, რომელთანაც მოხდა დასწრება, ანუ მასწავლებელი ეცნობა მონიტორინგის ჯგუფის მიერ გამოვლენილ გარემოებებსა და რეკომენდაციებს.

2021 წლის განმავლობაში მოდულური პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის მიერ, სისტემატურად ხორციელდებოდა თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება ონლაინ სწავლების რეჟიმში, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა ცხრილით გათვალისწინებული სალექციო საათების დაწყებისა და დასრულების დროზე, მსმენელების დასწრებაზე, ასევე პროგრამის სწავლის შედეგებით გათვალიწინებული თემატიკისა და სწავლების მეთოდებზე დაკვირვება. მონიტორინგს დაექვემდებარა დისტანციურ რეჟიმში სწავლებისთვის ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები და საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკური დახმარება. კოლეჯი აწარმოებდა დისტანციურად ჩატარებული საკონტაქტო საათების ჩაწერასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით შეფასების მტკიცებულებებთან ერთად შესაძლო მონიტორინგის მიზნებისათვის. ავტორიზაციის სტანდარტისა და ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ჩატარდა „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაცია, შემუშავდა სათანადო რეკომენდაციები.

კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდის მიზნით, განთესვის მაჩვენებლის მინიმუმამდე შემცირება კოლეჯის განვითარებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. კურსდამთავრებულთა და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა კმაყოფილია იმ საგანმანათლებლო პროგრამებით, რომლებიც დაასრულეს და დადებითად აფასებენ კოლეჯის მიერ შეთავაზებულ სერვისებსა და მომსახურებას. აქამდე არსებული კვლევების ანალიზის მსგავსად, განთესვის ძირითადი მიზეზია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პარალელურად უმაღლეს სასწავლებელში სწავლა ან დასაქმება. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, პროგრამის საკონტაქტო საათების 1/3-ის გაცდენა, პროფესიული

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია, აღნიშნული რეგულაცია ხარისხიანი განათლების მიცემის ერთ-ერთი კომპონენტია.

<u>არსებული ადამიანური რესურსის შეფასება</u> - ამ დროისათვის, დასაქმებული პროფესიული განათლების მასწავლებლების უმრავლესობა სრულად სერტიფიცირებულია, ხოლო დანარჩენებმა უკვე გაიარეს ტრენინგების უმეტესობა.

<u>განათლების ხარისხის განვითარება</u> - აქტიური თანამშრომლობის პრაქტიკა არის დამკვიდრებული EQE-სთან. 2019 წლიდან კოლეჯი ჩართულია გარეგერიფიკაციისა და თვითშეფასების კითხვარის შევსების პილოტირების პროცესში. 2021 წელს მომზადდა თვითშეფასების კითხვარის ანგარიში, ვმუშაობდით პილოტირების ვიზიტის ფარგლებში მიღებულ რეკომენდაციებზე. ახალი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მომზადდა და დამტკიცდა რამდენიმე მნიშვნელოვანი შიდა მარეგულირებელი წესი. საერთო შეფასებებით, კოლეჯი განსაკუთრებით აქტიურია და გახსნილია EQE-სთან პროგრამებში მოდიფიცირების/ცვლილებების პროცესში (მაგ. 2019.12. – „ინფორმაციის ტექმოლოგია"; 2020.02. - „მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორი" და ა.შ.). განსაკუთებულ კონტროლზეა განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების სისტემა. *<u>პრიორიტეტულია</u>* - *პროფესიული, მომზადება-გადამზადების პროგრამები და მათი ხარისხის უზრუნველყოფა; პროფესიული სტუდენტები/მსმენელები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები; ადამიანური რესურსების, მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსების განვითარება.*

2021 წლის ივნისის პირველ დეკადაში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ ჩატარდა ტრენინგი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით, ტრენინგზე კითხვარების შედგენის საკითხი საკმაოდ აქტუალურად დაისვა დაწესებულებების მხრიდან, რის შემდეგაც ცენტრის წარმომადგენლებმა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შესთავაზეს მათ მიერ შემუშავებული კითხვარების გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში მათი დანერგვა. იმის გათვალისწინებით, რომ ტრენინგის მასალა (მათ შორის, კითხვარები) მოგვეწოდა ივნისის ბოლოს, გამოკითხვის მეორე ეტაპი ივნისში არ ჩატარებულა.ამასთან, დაიგეგმა კოლეჯში არსებული ყველა კითხვარის მოდიფიცირება, რათა შინაარსობრივად დაიხვეწოს და მაქსიმალურად მოიცვას ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული კომპონენტი.

პროფესიული განვითარების მიზნით კოლეჯი აქტიურად ერთვება პერსონალის ტრენინგებისა და მასტერკლასების პროცესში, კერძოდ: სსიპ - განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაიმართა ტრენინგი არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებით, მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა და იურისტმა; სსიპ - განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაიმართა ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტთან (ადამიანური რესურსები) შესაბამისობის ტრენინგი, მონაწილეობა მიიღო კოლეჯის იურისტმა; კოლეჯში ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებლების ტრენინგები შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებასა და ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით.

<u>პროგრამების მიხედვით არსებული კვოტები და მიღებულ სტუდენტთა თანაფარდობა</u>

2018 წლიდან კოლეჯი მოდულურ პროგრამებზე სრულად გადავიდა, რაც განხორციელდა შრომის ბაზრის რეალური მოთხოვნების გათვალისწინებისა და კერძო სექტორთან თანამშრომლობის საფუძველზე.

2021 წლის 12 ივლისიდან დაიწყო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია, რომელიც 20 აგვისტომდე გაგრძელდა. რეგისტრაცია მიმდინარეობდა როგორც ონლაინ, ვებგვერდზე – vet.emis.ge, ასევე, საქართველოს მასშტაბით მოქმედ რესურსცენტრებსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში. 2021 წლის მიღებისთვის, მთელი საქართველოს მასშტაბით, საჯარო და კერძო პროფესიულმა დაწესებულებებმა პროფესიული სტუდენტები ასზე მეტი დასახელების პროგრამაზე მიიღეს. აღსანიშნავია, რომ შემუშავდა პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის ახალი წესი, რომლის თანახმად, 2021 წელს პირველად, ერთიანი მიღების ფარგლებში შესაძლებელი იყო ჩარიცხვა როგორც საჯარო, ასევე კერძო დაწესებულებაში. ამიტომ, ყველა ავტორიზებულმა, მათ შორის, კერძო დაწესებულებამ სტუდენტები მხოლოდ ერთიანი მიღების ფარგლებში, საერთო პლატფორმის მეშვეობით ჩარიცხეს. ახალი მიდგომამ გაზარდა პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა და უზრუნველყოფ ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობა

პროფესიულ განათლებაში, ასევე გაითვალისწინა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველთა ინდივიდუალურ საჭიროებები.

2021 წლის მიღების სტატისტიკა

პროგრამის დასახელება	დონე	ინტეგრირებული/ არაინტეგრირებული	განხორციელებ ის ფორმა	კვოტა
ბუღალტრული აღრიცხვა	5	არაინტეგრირებული	მოდულური	80
ინფორმაციის ტექნოლოგია	3	არაინტეგრირებული	მოდულური	75
ინფორმაციის ტექნოლოგია დუალური	3	არაინტეგრირებული	დუალური	5
საოფისე საქმე	4	არაინტეგრირებული	მოდულური	40
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	4	არაინტეგრირებული	მოდულური	40
საფინანსო სერვისები	3	არაინტეგრირებული	მოდულური	40
აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება	4	არაინტეგრირებული	მოდულური	40
სამკერვალო წარმოება	3	არაინტეგრირებული	მოდულური	32
მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება	3	არაინტეგრირებული	მოდულური	40
მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება	3	არაინტეგრირებული	მოდულური	40
მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება	3	არაინტეგრირებული	მოდულური	40
გრაფიკული დიზაინის შესრულება	4	არაინტეგრირებული	მოდულური	40
ინდუსტრიული დიზაინის შემსრულებელი	4	არაინტეგრირებული	მოდულური	40
ვებტექნოლოგიები	4	არაინტეგრირებული	მოდულური	40
ჯამი				592

პროგრამის დასახელება	კვოტა	მისაღები სტუდ. რაოდენობა (კვოტა)	სსსმ (კვოტა)	ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა	ჩარიცხული სსსმ	აქედან არაქართულენოვანი	მეორადი ჩარიცხვები (კვოტა)	სსსმ მეორადი ჩარიცხვა (კვოტა)	მეორადზე რეგისტრირებული აპლიკანტები	მეორადზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა	მეორადზე ჩარიცხული სსსმ
ბუღალტრული აღრიცხვა	80	38	2	23			15	2	49	16	
ინფორმაციის ტექნოლოგია	80	55	5	20			35	5	13	7	
მ.შ. დუალური		5		1			4		9		
საოფისე საქმე	40	19	1	8	1	1	11		17	3	
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	40	0								1	
კომპიუტერული ქსელი და სისტემები ინტეგრირებული		19	1	17	1		2		4		
საფინანსო სერვისები	40	27	1	19		4	8	1	14	7	
აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება	40								2		
"აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება" ინტეგრირებული		14	1	8			6	1		2	
სამკერვალო წარმოება	32	12		12				1			
მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება	40	19	1	19				1			
მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება	40	19	1	13			6	1	4	1	
მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება	40	19	1	9	1		10		2	1	
გრაფიკული დიზაინის შესრულება	40	18	2	14	1		4	1	36	4	
"გრაფიკული დიზაინის შესრულება" ინტეგრირებული		7	1	6	1		1			1	
ინდუსტრიული დიზაინის შემსრულებელი	40	19	2	10	1		9		7	2	
ვებტექნოლოგიები	40	18	2	13			5	2	30	5	
"ვებტექნოლოგიები" ინტეგრირებული		0									
ჯამი	**592**	**308**	**21**	**192**	**6**	**5**	**116**	**15**	**187**	**50**	**0**

ინკლუზიური განათლება

აქტიურად ვუწყობდით ხელს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რათა სსსმ/შშმ პირები გახდნენ მეტად ინტეგრირებულები საზოგადოებაში, შეიძინონ პროფესია და დასაქმდნენ. ისინი ხშირად სტუმრობენ კოლეჯს პროფესიული პროგრამების და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის გასაცნობად. ამ მიმართულებით განხორციელებული სამუშაოს ყოველწლიური ანგარიშები წარმოდგენია კოლეჯის ვებგვერდზე.

კოლეჯში შემუშავებული პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულებები გაფორმებულია მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან/ინსტრუქტორებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. პერსონალი სისტემატურად გადამზადდება სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა (შემდგომში სსსმ პირი) სწავლების შესაბამისი მეთოდებისა და ინსტრუმენტების ადაპტირების კუთხით. კოლეჯი აღჭურვილია პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი უახლესი ტექნიკით. საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო ინფრასტრუქტურა მთლიანად ადაპტირებულია ინკლუზიური განათლების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით და ყველანაირ საშუალებას იძლევა, რათა შესაბამისი სსსმ პირებმა ხარისხიანი სწავლება გაიარონ. კოლეჯში ფუნქციონირებს სათანადოდ

აღჭურვილი ბიბლიოთეკა და სამედიცინო ოთახი.

ვთანამშრომლობთ და მაქსიმალურ გათვლას ვახდენთ კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად, რათა შრომის ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულები, მათ შორის, შშმ და სსსმ სტუდენტები წარმატებული იყვნენ. მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ვაქვეყნებთ ინფორმაციებს სხვადასხვა კომპანიებში გამოცხადებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით, ასევე, ინდივიდუალურად ხდება რეკომენდაციების გაწევა კურსდამთავრებულთათვის კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების მოთხოვნის შესაბამისად.

კოლეჯი აქტიურად არის ჩართული სსსმ და/ან შშმ პირთა მიერ პროფესიული განათლების მიღების პროცესში. 2021 წელს კოლეჯმა მიღება გამოაცხადა რამდენიმე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. პრაქტიკული მოსინჯვის გზით თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სსსმ აპლიკანტების რაოდენობა განისაზღვრა 21 ადგილით. 2021 წლის მიღების პერიოდში, დარეგისტრირებულთა შორის, სპეციალური საჭიროება მითითებული ჰქონდა 19 აპლიკანტს, თითოეულ მათგანს მიეწოდა ინფორმაცია არსებული პროფესიული პროგრამების შესახებ. აპლიკანტები დეტალურად გაეცვნენ შესაბამისი დასაქმების სფეროებს, რათა აპლიკანტებს თავად მიეღოთ გადაწყვეტილება და აერჩიათ სასურველი პროფესია საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

2021 წლის მიღებაზე კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ იქნა 6 სსსმ პროფესიული სტუდენტი, აქედან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე: „საოფისე საქმე“ - 1; „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ - 1; „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ - 1; „გრაფიკული დიაზინის შესრულება“ (ინტეგრირებული) - 1; „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ - 1; „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ - 1.

2021 წელს ჩარიცხულ 2 სსსმ პროფესიულ სტუდენტს, საჭიროებიდან გამომდინარე და მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციის საფუძველზე, კოლეჯი უზრუნველყოფდა ტრანსპორტირებით. 2021 წელს მიღებულ სსსმ პროფესიულ სტუდენტებთან ერთად, კოლეჯში სწავლას აგრძელებდა 2019 წლის შემოდგომაზე მიღებული 1 სსსმ პროფესიული სტუდენტი და 2020 წელს ჩარიცხული 2 სსსმ პროფესიული სტუდენტი: „ვებ პროგრამისტი“ (მე-5 საფეხური) - 1; „ინფორმაციის ტექნოლოგია“ (მე 3- საფეხური) – 2.

2021 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა 1 სსსმ პროფესიულ სტუდენტს შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი“. ერთმა სსსმ პროფესიულმა სტუდენტმა სწავლა დაასრულა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი“. 2021 წლის 5 თებერვლიდან - 2022 წლის 5 თებერვლამდე, თავისი განცხადების საფუძველზე, სტატუსი შეიჩერა ერთმა სსსმ პროფესიულმა სტუდენტმა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“. 2021 წლის 26 ოქტომბერს, კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, სტუდენტის სტატუსი შეიწყვიტა ერთმა პროფესიულმა სტუდენტმა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგია“.

კოლეჯში სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის შექმნილია ყველა პირობა, რათა მათ ხარისხიანი პროფესიული განათლება მიიღონ. ზემოხსენებული სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის გავლისა და დასაქმების კუთხით, კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კოლეჯი ახორციელებს წინასწარ მოკვლევას იმის შესახებ, თუ რამდენად შეძლებს დამსაქმებელი სსსმ პირის/ების მიღებასა და მისთვის შესაფერისი გარემოთი უზრუნველყოფას.

<u>სსსმ სტუდენტთათვის სასწავლო პროცესისას გაწეული მხარდაჭერა</u> **-** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 24 იანვრის N110 ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამით“ გათვალისწინებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების დანერგვის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე სსსმ პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა პროგრამაზე, რომელთა ხანგრძლივობა აჭარბებს ერთ ან ორ კალენდარულ წელს, 2015 წლიდან სამინისტროსთან შეთანხმებით, კოლეჯში დღემდე დასაქმებულია ერთი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. სსსმ სტუდენტების საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობაზე მონიტორინგის მიზნით, რეგულარულად ხდება დაკვირვება სწავლების პროცესში, სასწავლო პროცესის ანალიზის შედეგად სწავლების ეფექტური სტრატეგიების შერჩევა და მათი დანერგვის ხელშეწყობა. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პროფესიული სტუდენტის შესაძლებლობების, ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით ხდება

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და შეფასების ინსტრუმენტის მოდიფიცირება ან/და აკომოდაცია, ასევე, ხორციელდება საკონსულტაციო შეხვედრები სსსმ პროფესიული სტუდენტების მშობლებთან ან მათ კანონიერ წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრებისას ისინი იღებენ ინფორმაციას პროფესიული ინკლუზიური განათლების შესახებ, განიხილება სწავლებასთან მიმართებაში სსსმ პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებები და ინდივიდუალური თავისებურებანი, ლექციებზე დასწრებისა და მოტივაციის ამაღლების, ასევე დაუდასტურებელი მოდულების გავლის საკითხები. საჭიროების შემთხვევაში მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან აქტიურად ხორციელდება სატელეფონო კომუნიკაცია, არსებული წარმატებისა და გამოწვევების გაცნობა, სასწავლო პროცესში ცვლილებების, სასწავლო შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

<u>სასწავლო და სამუშაო პროცესში გამოვლენილი წარმატებები/შედეგები და სირთულეები/გამოწვევები</u> - სასწავლო პროცესი მორგებულია მათ შესაძლებლობებზე. ამავდროულად, ყველას აქვს მზაობა მიიღოს პროფესიული განათლება. გარდა ამისა, კოლეჯში სისტემატიურად იმართება შეხვედრები პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კუთხით. ისინი, მათ შორის, სსსმ და შშმ პირები ხშირად გამოხატავენ ინტერესს მიიღონ დაწვრილებითი ინფრომაცია კოლეჯში არსებული პროფესიების შესახებ, სტუმრობენ კოლეჯს სასწავლო ლაბორატორიებისა და სახელოსნოების, პროფესიული პროგრამებისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის გასაცნობად.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, რომ კორონავირუსის პრევენციის მიზნით, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მაქსიმალურად დაცული იყო უსაფრთხოების ნორმები, რათა არ მომხდარიყო ვირუსის მასობრივი გავრცელება. კოლეჯის ადმინისტრაცია ყოველთვის ორიენტიერებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში, ჰიბრიდული სწავლების პერიოდში გამოვლენილი სირთულეების მიუხედავად, სტუდენტებს მაქსიმალურად ხარისხიანი სასწავლო პროცესი შესთავაზოს.

<u>დუალური მიდგომით სწავლება</u>

კოლეჯის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა არის პრაქტიკული სწავლების გაძლიერება და დუალური პროფესიული განათლების დანერგვა, რომელიც სრულად შეესაბამება შრომის ბაზრის საჭიროებებს. დუალური პროფესიული განათლება ინფორმაციის ტექნოლოგიის მიმართულებით უკვე დაინერგა და წარმატებით მიმდინარეობს. მისი მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ პროფესიული სტუდენტი როგორც თეორიულ ცოდნას იღებს, ასევე ეუფლება პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უშუალოდ სამუშაო გარემოში. დუალური პროფესიული განათლების დანერგვაში კოლეჯს აქტიური როლი მიუძღვის, რაც პროფესიული კადრების შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობის ერთ-ერთი საუკეთესო გზა. სამომავლოდ ის დამსაქმებლებთა ინტერესებს სასწავლო დაწესებულებასთან დააკავშირებს. ასევე დამსაქმებელს საშუალება ეძლევა უშუალოდ წარმოებაში ადევნოს თვალყური მომუშავე სტუდენტს, შეაფასოს მისი შრომისადმი დამოკიდებულება, შეარჩიოს სასურველი კადრი და სხვა.

<u>ინტეგრირებული მიდგომით განხორციელებული პროგრამები</u>

კოლეჯი დღეის მდგომარეობით ახორციელებს 4 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. ესენია: „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“, „გრაფიკული დიზაინის შესრულება“, „ვებტექნოლოგიები“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“. პროგრამების შემუშავებაში ჩართული იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები. პროგრამებში შემავალი გარკვეული მოდულები ქვეყანაში არსებული ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო, მიმდინარეობს დისტანციური რეჟიმში მოდულების სპეციფიკის გათვალისწინებით. კოლეჯში დისტანციური სწავლების მიზნით გამოყენებული ხარისხის უზრუნველსაყოფისათვის მოქმედებს შიდა მექანიზმები.

<u>კონფერენცია/საჯარო ლექციების დაგეგმვა და ჩატარება</u>

ეს აქტივობები 2021-2022 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგემილი იყო 2021 წლის ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდში:

- ოქტომბერი - „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა ცირა მენთეშაშვილმა და 192-193-ე ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა ჩაატარეს ღია ლექცია თემაზე „ფინანსური და საგადასახადო ანგარიშების მომზადება“;

- ოქტომბერი - „საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა გიული გურგენიძემ და 218-ე ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა გამართეს ლექცია-კონფერენცია თემაზე „სალარო ოპერაციების განხორციელება საფინანსო და სავაჭრო ორგანიზაციებში“;
- ნოემბერი - „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა ზვიად მამნიაშვილმა და 212-ე ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა გამართეს ღია ლექცია მოდულში „პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში“;
- დეკემბერი - „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა ლეილა გიორგობიანმა და 216-ე ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს ღია ლექცია მოდულში „საწარმოო პრაქტიკა-საოფისე საქმე“.

<u>ინოვაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა</u>

კოლეჯი ღიაა და სრულ მზადყოფნას გამოხატავს სასწავლო პროცესში ახალი, ინოვაციური მიდგომების გამოყენებასთან დაკავშირებით. კოლეჯის მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმათლებლო პროგრამების შემავალ მოდულებში ასახულია ჩანაწერები სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით.

კოლეჯი აღჭურვილია მოდულების სწავლის შედეგებით გათვალისწინებული თანამედროვე მატერიალური რესურსითა და მასალა-ნედლეულით. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციამ GIZ სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარებისა და ინოვაციების დანერგვის მიზნით, კოლეჯს საჩუქრად გადასცა ჭკვიანი დაფა და სმარტტელევიზორი. „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“, „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთებისა“ და „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში კოლეჯის ტერიტორიაზე აშენდა და უახლესი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა ავტოტექმომსახურების სასწავლო სახელოსნო.

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები მეცადინეობას ატარებენ ახალი სკოლის მოდელის მიხედვით, სტუდენტებს ასრულებინებენ კომპლექსურ დავალებებს.

<u>FAB-LAB-ის პროექტის განვითარება</u> - ის ნებისმიერს აძლევს საშუალებას რეალობად აქციოს საკუთარი ინოვაციური იდეები და ამავდროულად, შეიძინოს ახალი ცოდნა მათი ბიზნეს პროექტებად ქცევის სახით. ამ მიზნით, 2021 წლის მიღებიდან შეიქმნა რამდენიმე სამუშაო ჯგუფი, ჩატარდა ექსკურსიები და განხილვები, გაიმართა თემატური შიდა კონკურსები საუკეთესო პროექტების გამოსავლენად. როგორც ცნობილია, **2020** წელს, მიუხედავად პანდემიისა და დისტანციური სამუშაო რეჟიმისა კოლეჯში დაიგეგმა და შემუშავდა 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: **„გრაფიკული დიზაინის შესრულება“** (მ.შ. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით) და **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“**. **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** დამატება მნიშვნელოვანია ასევე ***<u>FAB-LAB-ის პროექტის</u>*** განვითარებისთვის, რათა მოხდეს ამ ლაბორატორიის ფუნქციურად მეტი დატვირთვა და იმ შესაძლებლობების სრულად გამოყენება, რასაც FAB-LAB-ის კონცეფცია ითვალისწინებს.

2020-2021 წლებში ამ პროგრამაზე სტუდენტების 2 მიღება განხორციელდა.

<u>პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამები</u>

2019 წლიდან კოლეჯში აქტიურად ხორციელდება, ესტონურ მხარესთან პარტნიორობით, კერძოდ, ტალინის ეკონომიკური სკოლისა და პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფის (PMCG) ინიციატივით, კოლეჯთან ერთად ერთობლივად შემუშავებული პროფესიული მომზადების პროგრამა **„სოციალური მედიის მართვა“**. აღნიშნული პროგრამა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკოორდინაციო ჯგუფის, საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის თბილისის ოფისის ერთობლივი ინიციატივით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის წარმატებით განხორციელდა 2020-2021 წლებში. სასწავლო პროცესი წარიმართა დისტანციურად, ონლაინრეჟიმში (როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობები) და დასრულდა 2021 წლის აპრილში. ამასთან, კოლეჯის 2019-2022 წლების ხარისხის მართვის სამოქმედო

გეგმის ფარგლებში ჩატარდა აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელი ინსტრუქტორებისა და მსმენელების გამოკითხვა ელექტრონული კითხვარების საშუალებით, ხოლო გამოკითხვის ანალიზის შედეგად შემუშავდა სათანადო რეკომენდაციები.

2021 წელს ამავე პროგრამაზე დაფიქსირდა რეგისტრანტთა უპრეცენდენტო რაოდენობა - 15 ადგილზე 293 აპლიკანტი, რომელთა შესარჩევი რამდენიმეეტაპიანი პროცესი (ტესტირება, გასაუბრება) სრულად წარიმართა დისტანციურად, ონლაინრეჟიმში. აღსანიშნავია, რომ პრიორიტეტულობისა და გაზრდილი მოთხოვნის გამო პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლება მხარდაჭერილია და სრულად ფინანსდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პროგრამაზე ჩირიცხა 15 მსმენელი. სასწავლო პროცესის მიმდინარეობს დისტანციურად, ონლაინრეჟიმში და მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მეცადინეობებს. სწავლა დასრულდება 2022 წლის მარტში და უკვე გაზაფხულზე დაგეგმილია ახალი მიღების გამოცხადება.

2021 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით დასრულდა მოსამზადებელი სამუშაოები პროფესიული მომზადების პროგრამებზე **„საწყობის ლოჯისტიკის ოპერატორი“** და **„მსუბუქი ავტომობილების დიაგნოსტირება“**. მათ შორის, ავტორიზაციაზე წარდგენილია პროფესიული მომზადების პროგრამა **„მსუბუქი ავტომობილების დიაგნოსტირება“** (ის ეფუძნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, რომლის განხორციელების უფლებაც დაწესებულებას მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით).

ასევე, GIZ-თან, საქართველოს ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციასთან და კომპანია „ნოვა“-სთან ერთობლივი თანამშრომლობით მომზადდა ახალი პროფესიული გადამზადების პროგრამები - **„სასაწყობე სატვირთველის უსაფრთხო ექსპლუატაცია“** და **„ხიდურა ამწის ოპერირება“**. ეს ორი პროგრამა უკვე 2021 წლის მიწურულისთვის წარდგენილი იყო ავტორიზაციაზე და ექსპერტთა მხრიდან შეფასებულია დადებითად.

გარდა ამისა, მიმდინარე პერიოდისათვის GIZ-თან აქტიური პარტნიორობით შემუშავებულია და წარსადგენად მზადდება პროფესიული მომზადების პროგრამა **„ალუმინის და მეტალო პლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი“**, რომლის განხორციელება დაგეგმილია შპს „დიო“-სთან აქტიური თანამშრომლობით, მათ საწარმოო ბაზაზე. კომპანია გამოხატავს მზადყოფნას სრულად აღჭურვოს კოლეჯი შესაბამისი სიმულატორებითა და საჭირო თვალსაჩინოებებით.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების მიზნით, ზრდასრულთა განათლების ახალი სერვისების ჩამოყალიბებისა და პროგრამების დიზაინის შემუშავების მიზნით, ასევე მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ეფექტიანი საქმიანობა. განსაკუთრებით შესაბამისი ადამიანური რესურსის გადამზადება და სხვადასხვა ტრენინგებში ჩართვა. მაგ. კოლეჯი 2021 წელს 27-29 ოქტომბერს მონაწილეობდა DVV International-ის მიერ ორგანიზებულ ზრდასრულთა განათლების კოორდინატორების ტრენინგში.

<u>**პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა**</u> - ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებების ფარგლებში, 2021 წელი დისტანციური სამუშაო რეჟიმით დაიწყო. მნიშვნელოვანი შეხვედრები და ღონისძიებები ონლაინ ხასიათს ატარებდა. შესაბამისად, „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში შემუშავებული პროგრამები ვერ განხორციელდა, თუმცა, სკოლებთან გაიმართა მოლაპარაკება 2022 წლის შემოდგომიდან აღნიშნული პროგრამის ამოქმედების თაობაზე.

<u>*პროფესიული განათლება - დასაქმებისაკენ მიმავალი გზა*</u>

2021 წელს, პირველ ეტაპზე, სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრმა“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროექტის, „ისწავლე და დასაქმდი“ ფარგლებში შეიმუშავა და განახორციელა 8 მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. პროექტი მოიცავდა თბილისში რეგისტრირებულ მოქალაქეთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, პროფესიული უნარების განვითარების გზით, შრომის ბაზრის ადეკვატური შრომითი რესურსების პროფესიულ მომზადება-გადამზადებას, სოციალურ ინტეგრაციას და დასაქმების ხელშეწყობას. დაფინანსებული 8 პროგრამებიდან, მიუხედავად ქვეყანაში გავრცელებული ახალი კორონავირუსისა, სწავლება ინტენსიურად მიმდინარეობდა ყველა პროგრამაზე.

პროფესიული სპეციალობები განისაზღვრა შრომის ბაზრის კვლევისა და კოლეჯების პარტნიორული კომპანიების გამოკითხვის შედეგად. პროექტმა ხელი შეუწყო ქ. თბილისში უმუშევრობის დონის შემცირებას და საწარმოების მოთხოვნილებების ნაწილობრივ დაკმაყოფილებას. მოკლევადიანი პროგრამები განისაზღვრა შრომის ბაზრის კვლევისა და პარტნიორი კომპანიების გამოკითხვის შედეგად. ისინი ორიენტირებულია თეორიული ცოდნის, პროფესიული უნარების და ღირებულებების გამომუშავებაზე და დასრულდა შესაბამისი სერტიფიკატის გაცემით.

პროექტი ითვალისწინებდა 8 მოკლევადიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე („ტანსაცმლის დიზაინი და კერვა“, „ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსი“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“, „კომპიუტერული გრაფიკოსი (რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება)“, „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ტექნიკოსი“, „სალაროს ოპერაციების განხორციელებისას საეჭვო და დაზიანებული (ეროვნული, უცხოური) ვალუტის გამოვლენა, და მათი დამცავი ნიშნების ამოცნობა“, „სალაროს ოპერაციების განხორციელება“, „მსუბუქი ავტომობილის დიაგნოსტირება“) 120 ბენეფიციარის შერჩევა-გადამზადებას. პროგრამები სულ დაასრულა 87 მსმენელმა და მათზე გაცემულია შესაბამისი დამადასტურებელი სერტიფიკატები.

2021 წელს, მეორე ეტაპზე, ამავე წლის პირველი ეტაპის - წინა პროექტში ბენეფიციართა მაღალი მომართვიანობისა და დაინტერესების გათვალისწინებით, სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრმა“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროექტის, „ისწავლე და დასაქმდი“ ფარგლებში შეიმუშავა და განახორციელა 2 მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. დაფინანსებული 2 პროგრამებიდან, მიუხედავად ქვეყანაში გავრცელებული ახალი კორონავირუსისა, სწავლება ინტენსიურად მიმდინარეობდა ყველა პროგრამაზე. ბენეფიციართა შერჩევა მოხდა წინა პროექტში დარეგისტრირებული მსურველებიდან. „ტანსაცმლის დიზაინი და კერვა“, - 30 ბენეფიციარი. „კომპიუტერული გრაფიკოსი (რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება)“, - 30 ბენეფიციარი. პროგრამები სულ დაასრულა 54 მსმენელმა და მათზე გაცემულია შესაბამისი დამადასტურებელი სერტიფიკატები.

თანამშრომლობა სახელმწიფო სექტორთან პროფესიული მომზადება-გადამზადების ფარგლებში

2021 წელს, პირველ ეტაპზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შორის 2018 წლის 21 მარტს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე შემუშავებული და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 15 თებერვლის №115479 ბრძანებით დამტკიცებული „მსჯავრდებული პირებისათვის და ყოფილი პატიმრებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამის“ ფარგლებში, სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის მოწოდებული სიებისა და მოთხოვნის მიხედვით, №16 პენიტენციური დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულთა და თავისუფლებაშეზღუდულთა მომზადება-გადამზადება განხორციელდა შემდეგი 2 მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით: **„კომპიუტინგი-ინფორმაციული წიგნიერება“** და **„კომუნიკაცია“**. სწავლება სრულად დაფინანსდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 28 აპრილის №422904 ბრძანების შესაბამისად. დაფინანსებულ ორივე პროგრამაზე (5 ჯგუფი) სწავლება ინტენსიურად მიმდინარეობდა ონლაინ, დისტანციური ფორმით. „კომპიუტინგი-ინფორმაციული წიგნიერება“ – 36 მსმენელი; „კომუნიკაცია“ – 12 მსმენელი. მათგან პროგრამების სრულად, კერძოდ კი, წარმატებით გავლის სერტიფიკატი მიიღო და გადამზადდა **15 კურსდამთავრებული**: „კომპიუტინგი-ინფორმაციული წიგნიერება“ – **8 მსმენელი**; „კომუნიკაცია“ – **7 მსმენელი**.

მეორე ეტაპზე, „მსჯავრდებული პირებისათვის და ყოფილი პატიმრებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამის“ ფარგლებში, სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის მოწოდებული სიებისა და მოთხოვნის მიხედვით, №16 და №14, ასევე №5 ქალთა სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულთა და თავისუფლებაშეზღუდულთა მომზადება-გადამზადება განხორციელდა 1 მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით **„მცირე ბიზნესის მწარმოებელი“**.

დაფინანსებულ პროგრამაზე 4 სასწავლო ჯგუფში სწავლება ინტენსიურად მიმდინარეობდა ონლაინ, დისტანციური ფორმით. სულ სწავლებაში ჯამში ჩართული იყო **34 მსმენელი**. მათგან პროგრამის სრულად, კერძოდ კი, წარმატებით გავლის სერტიფიკატი მიიღო და გადამზადდა **27 კურსდამთავრებული.**

მესამე ეტაპზე, „მსჯავრდებული პირებისათვის და ყოფილი პატიმრებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამის“ ფარგლებში, სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის მოწოდებული სიებისა და მოთხოვნის მიხედვით, №8 და №15 პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულთა და თავისუფლებაშეზღუდულთა მომზადება-გადამზადება განხორციელდა 1 მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით **„მცირე ბიზნესის მწარმოებელი“.** დაფინანსებულ პროგრამაზე 3 სასწავლო ჯგუფში სწავლება ინტენსიურად მიმდინარეობდა ონლაინ, დისტანციური ფორმით. სულ სწავლებაში ჯამში ჩართული იყო **11 მსმენელი.** მათგან პროგრამის სრულად, კერძოდ კი, წარმატებით გავლის სერტიფიკატი მიიღო და გადამზადდა **11 კურსდამთავრებული**.

<u>თანამშრომლობა კერძო სექტორთან პროფესიული მომზადება-გადამზადების ფარგლებში</u> - ამის ერთ-ერთი კარგი მაგალითია ა(ა)იპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების ანალიტიკური ცენტრსა და სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, შემუშავებულ იქნა მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, **„მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი“**. პროგრამა ითვალისწინებდა ა(ა)იპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების ანალიტიკური ცენტრის მსმენელების საგანმანათლებლო მომსახურებას (ტრენინგის ორგანიზება/ჩატარება), სწავლების ხელშეწყობას, პროფესიულ მომზადება-გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი. სულ წარმატებით გადამზადდა ა(ა)იპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების ანალიტიკური ცენტრის **13 მსმენელი**, რომლებსაც გადაეცათ პროგრამის გავლისა და დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატები.

<u>პარტნიორობა დამსაქმებლებთან და ადგილობრივ სექტორთან</u> **-** კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს და მაქსიმალურ გათვლას აკეთებს კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად მომავალში პროფესიული განათლების პოლიტიკის წარმართვაში, რათა სტუდენტებმა/მსმენელებმა შეძლონ სამუშაოზე დაფუძნებული პრაქტიკის გავლა, რაც გულისხმობს კოლეჯის სტუდენტთა სამუშაო გარემოსთან შეგუებას და პროფესიის შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას/დახვეწას.

კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, მიუხედავად ახალი ვირუსით გამოწვეული პანდემიისა და რეალურ გარემოში სწავლის შეწყვეტის გამო დისტანციურ, ონლაინრეჟიმში სწავლების დანერგვისა, 2021 წელსაც სისტემატიურად ქვეყნდებოდა ინფორმაცია სხვადასხვა კერძო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით ასევე, ინდივიდუალურად წარმოებდა რეკომენდაციების მიცემა კურსდამთავრებულთათვის კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების მოთხოვნის შესაბამისად.

სასწავლო პროგრამებიდან გამომდინარე მხოლოდ 2020-2021 წლებში 150-მდე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა კომუნიკაციების, მომსახურების, ბიზნესის, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევებისა და სხვა სფეროების კომპანიებთან. ისინი აქტიურად არიან ჩართულები პროგრამების სტანდარტების შემუშავების, განხორციელების, პრაქტიკის მიმდინარეობისა და განხორციელების პროცესში და აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში ცვლილების შეტანის ეტაპზე.

<u>თანამშრომლობა ადგილობრივ დონეზე</u>

2021 წელს კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივ თვითმმართველობის ყველა რგოლთან, განსაკუთრებით გლდანის რაიონის მუნიციპალურ და ქ. თბილისის საქალაქო სამსახურების დონეზე, მიმდებარე საჯარო სკოლების ადმინისტრაციებთან. შედეგად, მობილიზებულ იქნა ყველა რესურსი თბილისიდან და რეგიონებიდან 2021 წლის მიღებისათვის კოლეჯში სწავლების მეტი მსურველის მოსაზიდად.

კოლეჯი გახსნილია საჯარო და კერძო სკოლებისთვის, იგულისხმება როგორც სკოლის მოსწავლეები,

ასევე ფართო სასკოლო საზოგადოება (სკოლის მენეჯმენტი, მასწავლებლები, მშობლები). 2020.02.-ში ამოქმედდა მხარდამჭერი ელექტრონული პლატფორმა „სტუმრად კოლეჯში“ და ნებისმიერ დროს, დაინტერესებულებს შესაძლებლობა აქვს გაეცნონ ჩვენს პროგრამებს და ელექტორნული კალენდრის მეშვეობით, გამოთქვან სურვილი (დარეგისტრირდნენ) ვიზიტზე. ჩვენი მიზანია, ერთი მხრივ, პროფესიული განათლებისა და კოლეჯის გაცნობა, მეორეც მოსწავლეებისთვის სხვადასხვა პროფესიაში საკუთარი ძალების შესაძლებლობების შეთავაზება.

ასევე კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე მოქმედებს „ვირტუალური ტური კოლეჯში“, რომელიც ონლაინ რეგისტრაციის საფუძველზე იძლევა კოლეჯის დათვალიერების შესაძლებლობას სახლიდან გაუსვლელად.

<u>თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორთან</u>

ეს თანამშრომლობა მოიცავს პარტნიორობას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით კონსულტაციებისა და დატრენინგების კუთხით, ასევე კოლეჯისთვის სხვადასხვა მასალებისა და მოწყობილობების გადაცემას, კონსულტაციებსა და ტრეინინგ-სემინარებს.

2021 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია GIZ-ის მიერ კოლეჯს გადმოეცა მნიშვნელოვანი რესურსი კომპიუტერული და საილუსტრაციო ტექნიკის სახით სასწავლო და მატერიალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის.

<u>ზოგიერთი განხორციელებული ღონისძიება</u>

- 11 მარტში კოლეჯს ესტუმრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი, რომელმაც ავტომობილის სახელოსნოს მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა. მოინახულა კოლეჯის ლაბორატორია და სასწავლო აუდიტორიები. ვიზიტის ფარგლებში ის ასევე პირადად გაეცნო ჯანმრთელობის უსაფრთხოების მიზნით გატარებულ ღონისძიებებს.
- 17 მარტში კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის” (ICCA) მიერ ორგანიზებულ ონლაინ დასაქმების ფორუმში, სადაც დასაქმებულები დაინტერესებულებს რეალურ ვაკანსიებს სთავაზობდნენ. ფორუმში ჩართული იყო კოლეჯის 18 სტუდენტი/კურსდამთავრებული, მ.შ. მოკლევადიანი კურსების მსმენელები.
- 8 აპრილს ექსტრაკურიკულური ღონისძიებების ფარგლებში კოლეჯში გაიმართა შიდა ტურნირი შაშსა და ჭადრაკში. პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან ერთად შეჯიბრში პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.
- 23 აპრილს წიგნის ჩუქების საერთაშორისო დღეა. აღნიშნულთან დაკავშირებით, კოლეჯის ადმინისტრაციამ და სტუდენტებმა შეაგროვეს წიგნები, რომლებიც არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის ბენეფიციარებს გადაეცათ.
- 28 აპრილს კოლეჯში ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ გაიმართა. ექსტრაკურიკულური ღონისძიებების ფარგლებში, დაწესებულება მუდმივად უზრუნველყოფს სხვადასხვა სპორტულ და კულტურულ აქტივობებს სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.
- 23-24 ივნისს კოლეჯში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ორდღიანი ტრენინგი გაიმართა, რომლის მიზანი იყო პროგრამებში ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების შეფასების მიდგომების გაცნობა და შეფასების პროცესის ადმინისტრირების საკითხების გაცნობიერება. ტრენინგში საქართველოში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.
- 28 ივნისს დაწესებულების წარმომადგენლებისთვის „პირველადი დახმარების“ ტრენინგი გაიმართა, რომლის მიზანი იყო პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტებისა და ქმედებების შესწავლა, მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.
- 8 ივლისს კოლეჯმა უმასპინძლა დასაქმების ფორუმს, რომელიც სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს, თბილისის საკრებულოსა და გლდანის რაიონის გამგეობის ორგანიზებით გაიმართა. ფორუმზე 25 მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნეს კომპანიის მიერ შრომის ბაზარზე აქტიური 500-მდე ვაკანსია იყო წარმოდგენილი. ღონისძიებაზე სამუშაოს მაძიებლები შეხვდნენ დამსაქმებლებს და სასურველი ვაკანსიის თაობაზე პირდაპირი კომუნიკაციის გზით გაესაუბრნენ.
- 10 ივლისს, Elite Motors - ელიტ მოტორსისა და Volvo Construction Equipment Georgia - ორგანიზატორობით, „ოპერატორთა კლუბის” რიგით მე-4 შეჯიბრი გაიმართა, რომელშიც კოლეჯის

კურსდამთავრებულები მონაწილეობდნენ. მათ წარმატებით იასპარეზეს მძიმე სამშენებლო ტექნიკის პროფესიონალი ოპერატორების წლის მთავარ შეჯიბრზე და 70-მდე მონაწილესთან ერთად სხვადასხვა პრიზი დაიმსახურეს.

- 12 ივლისიდან დაიწყო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია, რომელიც 20 აგვისტომდე გაგრძელდა. რეგისტრაცია შესაძლებელი იყო როგორც ონლაინ, ვებგვერდზე – vet.emis.ge, ასევე, საქართველოს მასშტაბით მოქმედ რესურსცენტრებსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში.
- 10 დეკემბერს კოლეჯში გაიმართა პროფესიული სტუდენტების ნახატების გამოფენა. მსგავსი გამოფენები და პრეზენტაციები მნიშვნელოვანი სტიმულია სტუდენტების ნიჭის ფართოდ გამოსავლენად.
- 24 დეკემბერს სტუდენტთა ინიციატივით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ და „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა საახალწლო თემატიკაზე.

<u>დასაქმება</u>

2021 წელს კურსდამთავრებულთა მაღალი რაოდენობის შენარჩუნება არის კოლეჯის ერთ-ერთი გამოწვევა. ადმინისტრაცია პროფესიულ სტუდენტებთან სისტემატიურად ატარებს შეხვედრებს პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე, რომ ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღება ნამდვილად არის დასაქმების წინაპირობა. წინა წლებთან შედარებით, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი რამდენიმე პროგრამაზე გაიზარდა და შეადგინა 79%.

2021 წლის პერიოდში პროფორიენტაციის ღონისძიებები, აქტივობები ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში ყველა დაინტერესებული პირებისათვის, ხელს უწყობს მათ ჩართულობას და ინფორმირებას. ვთანამშრომლობთ და მაქსიმალურ გათვლას ვახდენთ კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად, რათა შრომის ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულები, მათ შორის, სსსმ/შშმ სტუდენტები/მსმენელები წარმატებული იყვნენ. მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ვაქვეყნებთ ინფორმაციას სხვადასხვა კომპანიებში გამოცხადებულ ვაკანსიებზე, ასევე, ინდივიდუალურად ხდება: რეკომენდაციების გაწევა კურსდამთავრებულთათვის კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების მოთხოვნის შესაბამისად; კოლეჯის საქმიანობის რეკლამირება პარტნიორი დამსაქმებლების მოზიდვის მიზნით; სხვადასხვა საქმიან შეხვედრაზე წარვადგინეთ პროგრამების პრეზენტაციები, კოლეჯი მონაწილეობდა დასაქმების ფორუმში - 2020.02.28-29-ს თბილისში გამართულ განათლების მე-10 საერთაშორისო გამოფენაზე; მოვაწყვეთ რამდენიმე თემატური გამოფენა, მ.შ. წარმატებული კურსდამთავრებულების ჩართულობით. 2021 წლის 8 ივლისს კოლეჯმა უმასპინძლა დასაქმების ფორუმს, რომელიც სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს, თბილისის საკრებულოსა და გლდანის რაიონის გამგეობის ორგანიზებით გაიმართა. ფორუმზე 25 მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნეს კომპანიის მიერ შრომის ბაზარზე აქტიური 500-მდე ვაკანსია იყო წარმოდგენილი.

პროფესიული კოლეჯების სტუდენტებს სჭირდებათ კომპანიების მხრიდან მეტი მხარდაჭერა, რათა საწყისი ეტაპიდანვე ჰქონდეთ მეტი პრაქტიკული შეხება სამომავლო საქმიანობასთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან.

<u>ბიბლიოთეკა</u>

2021 წლის ჩათვლით ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების რაოდენობა: ერთი დასახელების 240 ცალი წიგნი (39 ქსეროასლი), ჯამში - 1379 ცალი. ბიბლიოთეკაში არსებული CD დისკების რაოდენობა: ერთი დასახელების 231 ცალი, ჯამში - 508 ცალი.

ზემოაღნიშნულ პერიოდში ბიბლიოთეკამ სულ შეისყიდა **5** ერთეულის დასახელების წიგნი:

2021 წელს ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ, საჩუქრად გადაეცა 11 ერთეულის დასახელების წიგნი:

<u>CD - დისკები:</u> 9 ელექტრომატარებელზე ჩაწერილი სასწავლო მასალა

ბიბლიოთეკას დაემატა მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „სასაწყობე სატვირთველის უსაფრთხო ექსპლუატაცია“ ილუსტრირებული სასწავლო რესურსი ქართულ ენაზე. დაწესებულების მიერ მოხდა ახალი სასწავლო რესურსის აკინძვა და მატერიალური სახით დაწესებულების ბიბლიოთეკაში განთავსება, აღნიშნული სასწავლო რესურსი ასევე ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით.

2021 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის სერვისით ისარგებლა, როგორც პროფესიულმა სტუდენტებმა, ასევე კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა. 2021 წელს ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანა - დაბრუნების 78 ხელმოწერაა დაფიქსირებული (28-ამ ისარგებლა გახანგძლივების უფლებით). წლის განმავლობაში ბიბლიოთეკიდან არ ჩამოწერილა არცერთი დაზიანებული, მორალურად მოძველებული და სასწავლო პროცესისთვის შეუსაბამო წიგნი.

2021 წელს, მიუხედავად პანდემიისა და დისტანციური სწავლებისა, ბიბლიოთეკის სერვისით სარგებლობა შესაძლებელი იყო ონლაინფორმატშიც. ეს სერვისი კოლეჯში 2020 წლიდან ამოქმედდა და საკმაოდ მოთხოვნადია როგორც პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს, ასევე სხვა დაინტერესებული პირებს შორის.

<u>უძრავი ქონება</u> - კოლეჯის განლაგების ძირითად მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი შეადგენს 6169.30 კვ.მ. (ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 01.11.10.012.026, 01.11.10.012.028, მიწა - 5937 მ.კვ.), (ქ. თბილისი, მახალდიანის ქ. N7, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 01.12.20.030.022, მიწა - 536 მ.კვ.).

კოლეჯში „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების შესაბამისად და მოთხოვნების დაცვით, ხორციელდება კოლეჯის ძირითადი აქტივების, ნედლეული და მასალების, სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების, ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების, ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.

<u>ბიუჯეტი</u>

კოლეჯის საბიუჯეტო დაფინანსების დამტკიცებულმა გეგმამ 2021 წლის საანგარიშო პერიოდისთვის შეადგინა 709912.00 ლარი, საიდანაც, 691800.00 ლარი გათვალისწინებილი იყო მუხლში „სუბსიდია“, 1200.00 ლარი მუხლით „სხვა ხარჯები“ და 16912.00 ლარი - „არაფინანსური აქტივების ზრდა“. აღნიშნული დაფინანსება დაკორექტირდა და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა „სუბსიდიის“ მუხლში - 640624.00 ლარი, „სხვა ხარჯის“ მუხლით - 350.00 ლარი. „არაფინანსური აქტივების ზრდა“ - 14809.00 ლარი (2103.00 ლარი ტენდერიდან ეკონომია დაბრუნდა ბიუჯეტში). 2021 წლის სრულმა დაზუსტებულმა საბიუჯეტო დაფინანსებამ შეადგინა 655783.00 ლარი, საიდანაც ათვისებული იქნა „სუბსიდიის“ მუხლში - 638879.00 ლარი, „სხვა ხარჯის“ მუხლით - 305.00 ლარი და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 14809.00. სულ ათვისებული თანხა შეადგენს - 653991.00 ლარს. ვაუჩერის სახით მიღებულია 679092.00 ლარი.

2021 წელს კოლეჯი ქ. თბილისის მერიის დაფინანსებით ახორციელებდა პროექტს „ისწავლე და დასაქმდი“, რომლის ფარგლებშიც მიღებულია 22257.00 ლარი. მიმდინარე წელს ქ. თბილისის მერიას დაუბრუნდა 2020 წლის პროექტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამებიდან მიღებული ეკონომია 12925.00 ლარი.

2021 წელს კოლეჯში მიმდინარეობდა მოკლევადიანი მომზადების პროგრამა ,,სოციალური მედიის მართვა“, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგრამის ფარგლებში შემოსავალმა შეადგინა 6075.00 ლარი და სამინისტროს მიერ ჩარიცხულმა თანხამ 3203.00 ლარი.

სხვა საკუთარი სახსრების ფარგლებში კოლეჯში ჩარიცხულია 6251.00 ლარი, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ წლის ბოლოს მოდულური პროგრამების ხელსაწყო/აღჭურვილობის შეძენის მიზნით ჩარიცხული იქნა 18000.00 ლარი როგორც კაპიტალური გრანტი და 2000.00 ლარი მიმდინარე გრანტის სახით.

ამრიგად, კოლეჯის საკუთარმა შემოსავლებმა 2021 წელს სულ შეადგინა 736879.00 ლარი და 2022 წლის 1 იანვრისათვის წინა წლების ეკონომიის გათვალისწინებით სახაზინო ანგარიშზე განთავსებულია 1539438.00 ლარი.

<u>სახელმწიფო შესყიდვები</u> - კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება-გაუმჯობესება მიმდინარეობს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის სრული დაცვითა და წინასწარ განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში. სულ 2021 წლის დაფინანსების ფარგლებში გაფორმდა 82 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 172905.55 ლარი; მათ შორის, საკუთარი შემოსავლების დაფინანსებით გაფორმდა 26 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 37847.31 ლარი, ხოლო სახელმწიფო

ბიუჯეტის დაფინანსებით გაფორმდა 56 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 135058.24 ლარი.

ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებულია ორი ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 16638.90 ლარი. საიდანაც ერთი ხელშეკრულება გაფორმებულია საკუთარი შემოსავლების დაფინანსებით, ჯამური ღირებულებით 8224.94 ლარი, ხოლო მეორე - სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, ღირებულებით 8224.94 ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში დადებულია 12 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 7996.00 ლარი; მათ შორის საკუთარი შემოსავლების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებაა 2011.00 ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებაა 5985.00 ლარი.

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებულია 68 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 148270.65 ლარი; მათ შორის საკუთარი შემოსავლების დაფინანსებით გაფორმებულია 23 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 28686.37 ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით - 45 ხელშკრულება ჯამური ღირებულებით 119584.28 ლარი.

2021 წლის 29 ნოემბრის N240 ბრძანებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებიდა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის წესის“ შესაბამისად კოლეჯში ჩატარდა ინვენტარიზაცია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში კოლეჯმა დროულად წარადგინა 2021 წლის რეგულარული ფორმები „შრომის შესახებ“ და შემოსავლების სამსახურში ყოველთვიური დეკლარაციები „განაცემთა შესახებ“.

ამასთან, რეგულარულად მიმდინარეობს კოლეჯის საქმიანობის პროცესში მომხდარი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, დაჯგუფება და შესაბამისად ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვა. ყოველდღიურად ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში მუშაობა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების სისტემაში ატვირთვა, ვალდებულებების და საგადახდო დოკუმენტების მომზადება, პირველადი დოკუმენტების და ინვოისების შექმნა.

<u>დამატებითი ეკონომიკური საქმიანობა</u>

მოქმედი კანონმდებლობით, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, ეძლევა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების უფლება და დაწესებულება ეცდება ამ მიმართულებით მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსების მობილიზებას, ასევე პროფესიული სტუდენტების/მსმენელების წახალისებას.

<u>პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა საჭიროებები</u>

კოლეჯი ძირითადად ორიენტირებულია სტუდენტების/მსმენელების მოზიდვით თბილისისა და მისი მიმდებარე რაიონებიდან, თუმცა სპეციფიური სასწავლო პროგრამებიდან გამომდინარე, დიდია დაინტერესება მთიანი და საზღვრისპირა რეგიონებიდან. სტუდენტთა/მსმენელთ გარკვეული ნაწილი კოლეჯში დადის დედაქალაქის მიმდებარე დასახლებებიდან, რაც უქმნით პრობლემებს ბინით უზრუნველყოფისა და გადაადგილებაში. მახალდიანის ქ.-ზე არსებული უძრავი ქონების გამოყენებას განვიხილავთ 2 მიმართულებით - სტუმრების განთავსების ან/და დამატებითი სასწავლო გარემოს (სასწავლო ცენტრის) მოწყობის კუთხით, რაც გაზრდის კოლეჯში სწავლის მსურველთა რაოდენობასა და გეოგრაფიულ არეალს, მათ მოტივაციას და შემდგომი დასაქმების პერსპექტივებს.

<u>კოლეჯის განვითარების დასაბუთება:</u>

<u>ა) რეგიონის ეკონომიკური საჭიროებები</u> - კოლეჯი განლაგებულია დედაქალაქში, ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ და ეკონომიკურად განვითარებად რაიონში. ეს ქმნის ყველა წინაპირობას, ის განვითარდეს, როგორც გარკვეულ პროფესიებში საერთო გადაკვეთის პროფესიული სწავლების ცენტრი, რისთვისაც მნიშვნელოვანია ეკონომიკური სექტორის მუდმივი ჩართულობისა და შრომის ბაზარზე არსებული პულსაციის ანალიზი.

<u>ბ) სოციალური საჭიროებები</u> - კოლეჯი უზრუნველყოფს მისი სტუდენტების შრომითი და სამოქალაქო ღირებულებების განვითარების პროცესს, რადგან თითოეული პროგრამის მისაღწევი კომპეტენციების ჩამონათვალში ღირებულებების განვითარება არის ერთ-ერთი პრიორიტეტი. შესაბამისად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსების ერთობლიობამ უზრუნველყოს

საგანმანათლებლო და სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბება ყველა სახის სოციალური საჭიროებების პირთათვის.

<u>გ) საგანმანათლებლო საჭიროებები</u> - კოლეჯის პროგრამებით გათვალისწინებულია პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება, მათი თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები უზრუნველყოფს რეგიონში მოთხოვნადი სამუშაოს განხორციელებისთვის შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების სწავლებას/ჩამოყალიბებას. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია კონსულტაციები დამსაქმებლებთან მათი მოთხოვნების დასადგენად ამა თუ იმ პროფესიაზე. დამსაქმებელთა მოთხოვნები, რომლებიც თანხვედრაშია პროგრამების სტანდარტებთან, გასათვალისწინებელია პროფესიული პროგრამების შემუშავებისას.

<u>დ) კონკურენტი დაწესებულებები და მათი პოზიციები საგანმანათლებლო გაზარზე</u> - ისინი წარმოდგენილი არიან სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების სახით. მათი რაოდენობა შეზღუდულია გარკვეულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში, ხოლო ზოგიერთი პროგრამის მხრივ, კოლეჯი ერთადერთია ქვეყნის მასშტაბით. ამიტომ, არსებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის მიზანშეწონილია სასწავლო სიმძლავრეების დამატებითი გაზრდა.

❖

<u>ამრიგად, 2021 წელს,</u> პროფესიული განათლების შესახებ კანონისა და ახალი პროფესიული სტანდარტების გათვალისწინებით, სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების აღჭურვის, მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი სერვისების ჩამოყალიბება და შემუშავება.

ვფიქრობთ, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში კოლეჯის განვითარების დაგეგმვის არსებული ხედვა სწორია, *(მუშაობის მთავარ პრინციპები, მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებზე ორიენტირება, ასევე მათი გადაწყვეტის გზებისა და საშუალებების დასახვა)*, რათა გაძლიერდეს დაწყებული ცვლილებები და შესაძლებელი გახდეს დაწესებულების მთელი სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესება. ის მნიშვნელოვანია საერთო ღირებულებების, პრინციპებისა და მიზნების მისაღწევად და ხელს უწყობს გარე თუ შიდა, მ.შ. ადმინისტრაციული და პედაგოგიური რესურსების გაერთიანებას და ერთიან შეთანხმებულ საქმიანობას.

ხელს ვუწყობთ რა ისეთი **ღირებულებების** დამკვიდრება-განვითარებას, როგორიცაა: პროფესიონალიზმი; თანამშრომლობითი გარემოს შექმნა; გუნდური მუშაობა; სწავლის თანაბარი შესაძლებლობა; საჯაროობა; ინოვაცია; სიახლისადმი ღიაობა და სხვა. მზად ვართ გავუზიაროთ სამომავლო გეგმები ყველა დაინტერესებულ მხარეს და ჩავრთოთ ისინი კოლეჯის საქმიანობის შეფასებასა და შემდგომი სრულყოფის პროცესში.